თბილისელები აგროვებენ ქულებს

დაიწყო საკავშირო პირველობა ფეხბურთში და თბილისში ამინდი საფეხბურთო კალენდრის მიხედვით დგება – წვიმიანი დარი მატჩის დღეს მზიანით იცვლება. ასე იყო 8 აპრილსაც, როცა თამაშობდნენ “დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი).

პირველივე წუთებში დინამოელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და ორჯერ გაგზავნეს ბურთი კარში. ორივე ბურთი დარტყმული იყო ელოშვილის მიერ. ისევე როგორც მოსკოვის “სპარტაკთან”, თბილისელთა შეტევა ძირითადად მარჯვენა ფრთიდან წარმოებდა, სადაც, კ. გაგნიძე და კოტრიკაძე შეუჩერებლად, სწრაფად მოძრაობდნენ და ხშირი გადაცემებით რკინიგზელთა დაცვას განუწყვეტელი ხიფათის წინაშე აყენებდნენ. მარცხენა ფრთაზე ღოღობერიძემ რამდენჯერმე სცადა კომბინაციის გათამაშება თოდრიასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი სუსტად თამაშობდა, ან ადგილზე არ იყო, ან კარგავდა ბურთს.

“ლოკომოტივის” დაცვა თუმცა გაჭირვებით, მაინც ახერხებდა კარის დაცვას, მაგრამ მე–16 წუთზე ღოღობერიძისა და კ. გაგნიძის მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ ნახევარმცველი ლარინი იძულებული იყო წაქცეულ მდგომარეობაში ხელით დაეჭირა ბურთი. 11–მეტრიანი საჯარიმო ღორობერიძემ მისთვის ჩვეული ტრაფარეტით დაარტყა – კარის მარჯვენა კუთხეში. ბურთი მოხვდა კარის ძელს, მერე მეკარეს და მოედნის ფარგლებს გარეთ გავიდა. ეს ღოღობერიძეს არ ეპატიება, წლების მანძილზე იგი 11–მეტრიანს ერთი და იგივე ხერხით ურტყამს.

3 წუთის შემდეგ ღოღობერიძემ გამოისყიდა თავისი დანაშაული. მან კოტრიკაძის გადაცემიდან ულამაზესი დარტყმით მაღლა კუთხეში გაიტანა ბურთი – 1:0.

ამ წარმატებას კიდევ უფრო აქტიური შეტევები მოჰყვა. ზედიზედ გადიან რკინიგზელთა კართან კალოევი, კ. გაგნიძე, ანთაძე, მახარაძე და მოსკოველები კვლავ ძალების მაქსიმალური დაძაბვით იგერიებენ ბურთებს.

ტაიმის დასასრულისათვის თამაშში გარდატეხა მოხდა. სტუმრებმა, როგორც იქნა, თავი დააღწიეს თავის საჯარიმო მოედანს და მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაინაცვლეს. 28–ე წუთზე ლარინმა შორიდან დაარტყა კარში, მარღანიამ მოიგერია ეს ძნელი ბურთი, მაგრამ მას მოუსწრო მარჯვენა გარემარბმა გორიანსკიმ და ანგარიში გაათანაბრა. განმეორებითი დარტყმა არ იყო ძლიერი და მეკარეს რომ მეტი გულისხმიერება გამოეჩინა, მას აიღებდა. მცირე ხნის შემდეგ მოსკოვის “ლოკომოტივის” ფარზე უკვე ორიანი ეწერა: “დინამოს” მცველები შეჯგუფდნენ კარის წინ, მარჯვენა შუამარბის რაზუმოვსკის ძლიერი დარტყმა მოხვდა ერთ–ერთ მათგანს და ცენტრალურ თავდამსხმელს მალოვს ჩაუვარდა ფეხებში. მალოვი სწრაფად გაიჭრა წინ და მარღანიასთან პირისპირ დარჩენილმა მეორე ბურთი გაიტანა.

მოსკოველები ერთხანს საგრძნობლად ავიწროვებდნენ დინამოელებს. მათ თავდამსხმელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მალოვი და კოროტკოვი, კარში რამდენჯერმე შორიდან დაარტყა ლარინმა.

ამ ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე. მეორე ტაიმში თოდრიას მაგივრად მოედანზე ახალგაზრდა ნ. ცაგარეიშვილი გამოვიდა, რომელმაც მაშინვე გამოაცოცხლა თამაში. მიძინებული მარცხენა ფრთა მნიშვნელოვნად გააქტიურდა და შეტევა მოედნის მთელ სიგანეზე გაიშალა.

ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა კ. გაგნიძემ სწრაფად გაიტაცა ბურთი და წინ გადასცა მახარაძეს. მახარაძე შესანიშნავად გავიდა მცველებს შორის და ბურთი გაიტანა – 2:2.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტაიმის განმავლობაში ინიციატივა დინამოელების მხარეს იყო, მათ კართან რამდენჯერმე შეიქმნა სახიფათო მომენტი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ელოშვილი ხშირად უყურადღებოდ ტოვებდა თავის ადგილს და მოწინააღმდეგის კარის იერიშზე მიდიოდა მახარაძესთან ერთად.

22–ე წუთზე კალოევმა და ცაგარეიშვილმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ბურთი გადაცემულ იქნა კართან. კოტრიკაძემ ძნელი მდგომარეობიდან ანგარიში სამამდე გაზარდა. ოთხი წუთის შემდეგ “ლოკომოტივის” კარს შვიდმა დინამოელმა შეუტია. ღოღობერიძემ ზუსტად გადააწოდა ბურთი კალოევს, რომელიც მშვიდად გავიდა კარის წინ და ანგარიში ოთხამდე გაზარდა.

თბილისის “დინამომ” ტემპიანი, სწრაფი კომბინაციური თამაში აჩვენა და დამსახურებულად გაიმარჯვა ანგარიშით 4:2.

დუბლიორთა მატჩი მოიგეს მოსკოველებმა – 2:0.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 11 აპრილი 1954 წ.